# თბილისი
# გერგეტის ქ. №8

## ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა




თბილისი "სალალაკი"
XIX საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო
ჯ. ბაბუნაშვილის არქივიდან

შემსრულებელი: ჯ. ბაბუნაშვილი

2015 წ. ივლისი

## საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტორული ანალიტიკური ინფორმაცია

კვლევა-ძიება ჩატარებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის სრული შესაბამისობით.

## საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში, ამიტომ კვლევა-ძიებას საფუძვლად ედება ისტორიულ განაშენიანებაში მოქმედი რეჟიმი, აგრეთვე ისტორიული წყაროები და XIX საუკუნის გრაფიკული მასალა, როგორც რუკების, ასევე ფოტომასალის სახით.

-საკვლევი-საპრორქტო ტერიტორია “გარეთ უბანში”კერძოდ კი “სალალაკის” უბანში შედის და XIX საუკუნის ქალაქის ქსოვილში ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მონაკვეთს წარმოადგენს, რომელსაც მისი წარმოშობიდან დღემდე არსებითი ცვლილება მცირედი გამონაკლისის გარდა არ განუცდია.

-საკვლევ-საპროექტო ტერიტორიაზე შენობების თაობათა ცვლა ბოლო საუკუნის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვანი ჩარევით მოხდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა მოცემულ ტერიტორიაზე შეცვლილა, თუმცა ის მაინც ისტორიული განაშენიანების სტატუსის მატარებელია რადგან ბოლო ცვლილება ამ ტერიტორიისა თითქმის საუკუნის უკან მოხდა.

- საკვლევ ტერიტორიად მოცემულ შემთხვევაში, როგორც ამას კანონი გვავალდებულებს, უნდა მივიჩნიოთ გერგეტის, ჭონქაძის და ამაღლების ქუჩებს შორის მოქცეული სამკუთხა ფორომის კვარტალი, ზოგადად კი საკვლევ უბნად „სალალაკი” უნდა მივიჩნიოთ.

- საპეოექტო ტერიტორია წარმოდგენილია ერთი საკადასტრო ერთეულით რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 457 კვ.მ. უფლებრივი ზონირების მიხედვით საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა – 5-ს სადაც კ-1=0.5 კ-2=2.1 და კ-3=0.1. ტერიტორიის გეომეტრია მართკუთხა წაგრძელებული ფორმასაა. საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი რომელიც რიგითი განაშენიანების სტატუსის

მატარებელია და რაიმე ფასეულს არქიტექტურული თვალსაზრისით არ წარმოადგენს.

- განსახილველ საკადასტრო ერთეულის მიერ დაკავებულ მიწის ნაკვეთს, ჩრდილოეთის მხარეს ესაზღვრება დ. ჭონქაძის ქუჩა, სამხრეთით ზ. დუმბაძის ქუჩა, აღმოსავლეთით ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი, ხოლო დასავლეთით ვიწრო კიბე ქუჩა რომელიც აკავშირებს ჭონქაძისა და თავად გერგეტის ქუჩებს.

- საკვლევ ტერიტორიის არიალში განთავსებულია არქიტექტურული ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ შორის ერთი ეროვნული მნიშვნელობისაა, ერთიც ფონური განაშენიანების, მოხოლოდ საკვლევი საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სახლი წარმოადგენს რიგით განაშენიანების სტატუსის მქონეს.

-საპროექტო შენობა ორ სართულიანია რომელიც როგორც აღინიშნა განსაკუთრებულ ფასეულს არ წარმოადგენს და საბჭოთა პერიოდის თბილისში ფართოდ გავრცელებული საცხოვრისის ტიპს წარმოადგენს. სახლი ე.წ. რუსული აგურისაგან არის აშენებული, რომელიც დღეის მდგომარეობით უფუნქციოა. შენობა შენებულია XXს. პირველ ნახევარში

-გერგეტის ქუჩა წარმოიქმნა XIX ს. 80-იან წლებში, მას თვადაპირველად კონსულის ქუჩა ერქვა. 1948 წლამდე ვაჟა ფშაველას, 1948 წლიდან კი გერგეტის. ქუჩას ერთი გასასვლელი ქონდა რომელსაც დღეისათვის ზ. დუმბაძის ქუჩა ქვია.

ქუჩა მეტად ვიწროა და მოკლეა, ცალმხრივი მოძრაობით, რომელიც ამაღლებისა და ჭონქაძის ქუჩებს აკავშირებს.

- საკვლევ-საპროექტო ტერიტორია მცირე ქანობიანია, რაც ზოგადად განპირობებულია სალალაკის დამრეცი ფერდის გეოგრაფიით.

- საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტით მიდგომა ადვილს ნამდვილად არ წარმოადგენს. ამ მხრივ ის მიუდგომელია თუმცა მისადგომი მას როგორც ამაღლების ქუჩიდან ასევე ჭონქაძის ქუჩიდანაც აქვს. უახლოესი მეტროს სადგური “თავისუფლების მოედანია”.

-როგორც ზოგადად ქალაქში და მათ შორის ძველ ქალაქში, ავტოპარკირების პრობლემაა, გამონაკლისი ამ შემთხვევაში არც საპროექტო ტერიტორიაა.

-საპროექტო ტერიტორიაზე ზოგადი არქეოლოგიური მონაცემებით რამე ნიშნები არ შეიმჩნევა (თბილისის არქეოლოგიური რუკის მონაცემები), თუმცა ამ მხრივ ეს ადგილი შესწავლილი არაა.

- ტერიტორია უზრუნველყოფილია საინჟინრო კომუნიკაციებით, რომლის ექსპლუატაციის ვადა გასულია და მოითხოვს განახლებას.

## საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები

„გარეთ უბანი“, „ქალაქის მიდამო“, „ქალაქის სანახები“ ეს სინონიმები ზოგადად ქალაქის გარეთუბანს აღნიშნავდა, თუმცა სიტყვა „გარეთუბანი“ ადგილის საკუთარ გეოგრაფიულ სახელად პირველად XVI საუკუნეში გვხვდება, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ადგილზე ადრე ხალხი არ სახლობდა ან ამ ტერიტორიას სხვა სახელი არ ერქვა.

თბილისის პირველი გრაფიკული მასალით (1670-იანი წლები) ჟან შარდენის ჩანახატით გარეთუბანში საკვლევი ტერიტორია არაა დაფიქსირებული, ასევე არაა დაფიქსირებული გარეთუბანი ტურნეფორის მიერ შესრულებულ გრაფიკულ მასალაზეც (1701 წელი).

შემდგომ ეტაპზე გარეთუბანი XVIII საუკუნის სიგელ-გურჯებში გვხვდება, ხოლო პირველი გრაფიკული მასალა გარეთუბნის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის რუკაზეა ასახული, რომლის მიხედვით გარეთუბნის განაშენიანება იწყებოდა ქალაქის გალავანთან და დაახლოებით დღევანდელ ჭავჭავაძის ქუჩამდე ვრცელდებოდა. თუმცა ამ დროის ვახუშტისეულ გეგმაზე საპროექტო ტერიტორია მთებითაა დაფარული. 1783 წელს მეფე ერეკლეს მიერ მოწყობილი მოსახლეობის აღწერით გარეთუბანში 550-მდე კომლი ცხოვრობდა.

1-გარეთუბანი ამ დროისათვის საწარმოო ზონას განეკუთვნებოდა, სადაც „აგურხანები“ „ქუზხანები“ და ჭურჭლის საამქროები იყო განთავსებული.

-1830 წელს თბილისის ტერიტორია გარეთუბნითა და ბაღებით 299 ჰექტარი იყო, 1850 წელს 635 ჰექტარი 60-იან წლებში კი 820 ჰა ტერიტორიების ასეთი სწრაფი ათვისება მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქში და ქვეყანაში კაპიტალიზმი მძლავრად იკიდებს ფეხს.

-მას შემდეგ, რაც ოსმანთა და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევების შემდგომ გარეთუბნის მაცხოვრებლებმა გალავნის შიგნით ქალაქს

შეაფარეს თავი, გარეთუბანი დაცარიელდა, თუმცა რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს გარეთუბანში ისევ ხდება დასახლება ძირითადად დაბალი ფენის წარმომადგენლების და წვრილი ვაჭარ-ხელოსნების.

-საცხოვრებელი სახლების სტრუქტურა ნიშანდობლივი იყო. ფასადზე გამომავალი ოთახი სავაჭროს ან დუქანს ჰქონდა დათმობილი, ხოლო სიღრმისეული ოთახები საცხოვრებლად იყო გამოყენებული, თუ მაცხოვრებელი ხელოსანი იყო, მას სახელოსნო უკან ეზოში ჰქონდა, ხოლო ნახელავის გასაყიდი ქუჩის ფასადზე განთავსებულ სათავსში.

-ამ დროისათვის საპროექტო ტერიტორიის ქალაქგეგმარებით საკითხებზე ზედმეტია საუბარი, მშენებლობები ამ უბანში მეტად ქაოტურად მიმდინარეობს და მისი არქიტექტურული მხარე მხოლოდ ამქრებსა და კალატოზების შემოქმედებაზე იყო დამოკიდებული.

-ტერიტორიის შემდგომი განვითარების პერიოდი XIX საუკუნეში იწყება, როცა ქაშუეთის წინ რასტაბაზარი ჩნდება და წარჩინებულები ნელ-ნელა ფეოდალურ გალავნის შიდა ქალაქიდან გარეთუბანში იწყებენ დასახლებას. ამ დროისათვის გარეთუბანში რამოდენიმე ქარვასლა და საკულტო ნაგებობაა, მაგრამ გარეთუბნის განაშენიანება ძირითადად მაინც გოლოვინის პროსპექტზე მთავარმართებლის და სამხედრო ტაძრის „სობოროს“ აშენების შემდგომ ხდება. ამ დროს გოლოვინის პროსპექტის ორთავე მხარეს ჩნდება პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები, ხოლო „გარეთუბანი“ რამდენიმე ძირითად უბნად იქნა დაყოფილი მათ შორის ”მთაწმინდის“. და „სალალაკის“ სწორედ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზეა განთავსებული საკვლევი ტერიტორია.

“სალალაკი” გადმოცემით “ციხის ბაღების”(დღევნდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია)მოსარწყავად არაბების ბატონობის პერიოდში სარწყავ არხს “სულულ-ლაჰ”ერქვა, როგორც ჩანს ამ სახელის შეცვლილი ფორმა ქართულად “სალალაკად” იქნა ფორმირებული რომელიც შემდგომ მის მიმდებარე ტერიტორიებზეც გავრცელდა.

- ამ პერიოდში წარმოიშვა წინადადება ახალი ქალაქის მშენებლობაზე, შედგა პროექტიც, სადაც ტერიტორია დაყოფილი იყო კვარტლებად და დაკვალული ქუჩებით.

- თბილისის განვითარების ყველა ეტაპზე ქალაქმშენებლობის კულტურა მეტად დაბალ დონეზეა, ამდენად, დღის წესრიგში დგება მცდელობა იმისა, რომ შემდგარიყო ქალაქგანვითარების გეგმა, რომლიც ჯერ კიდევ 1802 წელს იყო, ჩაფიქრებული. ხოლო 1828 წელს შედგა ე.წ. საბუთი „თბილისის ახალი გეგმა“, რომელიც არ დამტკიცებულა, თუმცა ამ გეგმას ნაწილობრივ ემთხვევა

დღევანდელი „გარეთუბნის“, მათ შორის “სალალაკის” არსებული ქუჩის ქსელი.
-უფრო ნათელ წარმოდგენას საკვლევი ტერიტორიის ქალაქგეგმარებით განვითარებაზე XIX საუკუნის თბილისის რუკები იძლევა, რომლის ქრონოლოგია ასეთია:
- ვახუშისტეულ თბილისის რუკაზე საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ასევე დაუსახლებელია ავანაანთხევის ფერდობიც.
- პორუჩიკ ჩუიკოს მიერ 1800 წელს შედგენილ თბილისის რუკაზეც საპროექტო ტერიტორია თავისუფალია და განაშენიანება არ აღინიშნება აქ ბაღებია დატანილი.
- 1844 წლის თბილისის რუკაზე (იხ.დანართი №3) საკვლევ-საპროექტო ტერიტორია ისევ აუთვისებელია თუმცა სალალაკის დასახლების კონტურები და კვარტლები გამოკვეთილია, ამ დროისათვის მთაწმინდის ფერდობის ათვისება ინტენსიურადაა დაწყებული.
- 1867 წლის თბილისის რუკაზე (იხ.დანართი №4) შეიძლება ითქვას, უბნის ქუჩების ქსელი ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს, რომელიც მეტად ცახეცვლილია დღევანდელობისა, ამ დროისათვის საკვლევი ტერიტორია კვლავ აუთვისებულია. რუკაზე დატანილია ამაღლების ეკლესია.
- 1887 წლის თბილისის რუკაზე (იხ.დანართი №6) საპროექტო ტერიტორია იდენტურია წინანდელის. ამ დროისათვის ტერიტორია გამწვანებულია რომელსაც ემიჯნება კათოლიკური სასაფლაო.
რუკაზე მსხვილი მასშტაბით რამე ცვლილება ამ დროისათვის არ აღინიშნება. საკვლევი ტერიტორიისი არეალში დატანილია რუსეთის იმპერიის სამხედრო სამედიცინო და სამოთო სამმართველოების შენობები.
–1913 წლის რუკაზე (იხ. დანართი №7) კათოლიკური სასაფლაო უშუალეოდ ემიჯნება საკონსულოს ქუჩას. ამ დროისათვის ქუჩების ქსელი უცვლელია.
- XX საუკუნეში ქალაქ თბილისის 1924 წ, და 1934 წ რუკებზე (იხ.დანართი №8 №9 ) საკვლევ-საპროექტო ტერიტორია თუ არ ჩავთვლით ქუჩების სახელების შეცვლას, არსებითი სახეცვლილება არ განუცდია.
- საბჭოთა პერიოდში საკვლევ ტერიტორიაზე კათოლიკური სასაფლაოს დახურვის შემდეგ საკვლევი ტერიტორიის ამ მონაკვეთმა საკმაო სახეცვლილება განიცადა აქ გაჩნდა ახალი გასასვლელი ზ.დუმბაძის ქუჩის ასახით. XXს. 90-იან წლებში საკვლევი ტერიტორია დაიტვირთა მრავალი ახალი შენობა ნაგაბობით

რომელმაც დღევანდელი სახით მოაღწია ჩვენამდე, მათ შორისაა საპროექტო ტერიტორიაც.

## საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ანალიზი

საკვლევ-საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების ანალიზი შედგენილია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილის ე) ქვეპუნქტის და მე-3 ნაწილის სრული შესაბამისობით.

- საკვლევი ტერიტორიის **განაშენიანების სტრუქტურა** ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში გასულ საუკუნის დასაწყისში მომხდარი ცვლილებების იდენტურია. ამ უკანასკნელის სტრუქტურა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფორმირდებოდა რომლის აღნაგობა (სრუქტურა) სპონტანურად ვითარდებოდა რასაც ძირითადად კოჯრისაკენ მიმავალ გზის არსებობა განაპირობებდა.

-საკვლევი ტერიტორიის **მორფოლოგია** შეიძლება დავახასითოთ შემდეგნაირად: სპონტანურად წარმოშობილი კვარტალი, დეფორმირებული მორფოლოგიით.

-საკვლევი **ტერიტორიის მასშტაბს** ამ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების მოშენება განსაზღვრავს, მოცემულ შემთხვევაში საკვლევი ტერიტორიის მომიჯნავედ არსებული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი.

- საკვლევ-საპროექტო ტერიტორიაზე **ღია სივრცეები** არ ფიქსირდება თუ არ ჩავთვლით გერგეტის და ზ.დუმბაძის ქუჩების გასაყარზე მცირე სივრცეს და შენობების შიგა ეზოებს, რომელთა ერთობლიობა წარმოსახვით ღია სივრცეებს ქმნიან. აქვეა აღსანიშნავი რომ “სალალაკის” განაშენიანების სიმჭიდროვე დღევანდელი მოქმედი ნორმისგან მეტად შორსაა, რაც ზოგადად მახასიათებელია ისტორიული ქალაქისათვის, შსაბამისად ეს მდგომარეობა ღია სივრცეებზეც არსი ასახული.

**-კულტურის ძეგლების** გავლენა საპროექტო ტერიტორიისადმი საკმაოდ დიდია და გდამწყვეტი, რომელთა სივრცითი მოწყობა ამ გარემოში არქიტექტურული სტილის გადაწყვეტის მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

- **დომინანტ შენობა-ნაგებობად** საკვლევ ტერიტორიაზე მომიჯნავედ არსებული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლზე უნად იქნას გაკეთებული აქცენტი
-საკვლევ-საპროექტო ტერიტორიაზე არსებული **ლანდშაფტის** მცირე დოზაც კი მიმზიდველს ხდის უბანს, ამ ნიშნით საკვლევ ტერიტორია დადებითი ნიშანით ხასითდება კერძოდ: საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, როგორც ჭონქაძის ქუჩის მხარეს, ასევე კიბე ქუჩასა და საპროექტო ტერიტორიას შორის არსებული სივრცეები მწვანე საფარითაა დაფარული ამას ემატება ტერიტორიიდან მცირე მანძილით მოცილებული ქალაქის სარეკრიაციო -ლადშაფტური დაცვითი ზონის არსებობარაც.
- საკვლევ-საპროექტო ტერიტორიაზე განაშენანების **მხატვრული და დეკორატიული ელემენტების** მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა ამ მხრივ უფრო ძეგლ სახლებზე უნდა იქნას აქცენტი გაკეთებული რომელთა არქიტეტურული ელემენტებით შემკულობები მეტად საინტერესო და მიმზიდველია.
- საკვლევ-საპროექტო ტერიტრიაზე არსებული განაშენიანების **არქიტექტურული სტილისტიკა** ასე შეიძლება შეფასდეს: "ეკლექტიზმი", ე.წ. თბილისური სახლის ნაზავით. რაც შეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლის სტილისტიკის განსაზღვრას, ის შეიძელაბა დახასათდეს როგორც სტილის არ მქონე, რომელსაც რიგითი შენობის სტატუსი აქვს მინიჭებული.


## ისტორიულ-არქიტექტორული კვლევის დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები

-უფლებრივი ზონირებით დადგენილი ინტენსიურობის კოეფიციენტის მიხედვით საპროექტო საკადასტრო ერთეულზე 960 კვ.მ ფართობის მოცულობა შეიძლება განთავსდეს, რომელიც სიმაღლეში დაახლოებით 4 სართულზე მეტის აშენების შესაძლებლობას იძლევა ამდენად კვლევის ჯამური შედეგებიდან გამომდინარე და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დამკვეთის საკუთრებაში არსებულ გერგეთის ქ №8 -ში საკვლევ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული საცხოვრებელ სახლის დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი მოცულობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

- ახლი მოცულობის (სახლის) მიბმისას უპირველესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მომიჯნავედ არსებული ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის არსებობა.
- ახალი მოცულობა საკადასტრო ერთეულზე უნდა მიებას ისე რომ ამ გარემოში არ იქნას შეტანილი დისონანსი, რაც ნამდვილად შესაძლებელია კერძოდ: საპროექტო მოცულობების ტერასებად ჩამოღვენთვა ჭონქაძის ქუჩის მიმართულებით ვფიქრობ ყველაზე უფორ მისაღები ქალაქეგმარებითი გადაწყვეტა იაქნება მოცემულ შემთხვევაში. ასეთის საშუალებას კი ნამდვილად იძლევა საპროექტო ტერიტორის რელიეფი რომელიც საკმაო ქანობიანია, მოისინჯოს შესაძლებლობა ტერასების ბანებად გამოყენებაზე.
- სახლის არქიტექტურა უნდა ასახავდეს თანამედროვე არქიტექტურის სტილისტიკას და ეპოქას. უნდა გამოირიცხოს რეტრო, მიმსაგავსება.
- უფლებრივი ზონირების მიხედვით დადგენილი ფორმულის მიხედვით სახლის სიმაღლე ვიზუალური გათვლითაც კი შეუზღუდავია ამიტომ სახლის სიმაღლე მომიჯნავედ არსებული ძეგლითან მიმართებაში მის ვიზუალურ გარემოს არ უნდა ზღუდავდეს.
- საპროექტო მოცულობის სამი მხრიდან გახსნილობა (კიბე ქუჩა, ჭონქაძის და გერგეტის ქუჩა) კარგ შესაძლებლობას იძლევა ბინები დაპროექტდეს სწორი ორიენტაციით და განიავებით. ასეთი შესაძლებლობა პროექტირებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას.
- სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული თბო და ხმის გავრცელების საიზოლაციო სამშენებლო მასალა.
- სახლის "კოლორი" არ უნდა იყოს მკვეთრი ფერების და სიმბიოზში უნდა იყოს მომიჯნავედ არსებულ ძეგლ სახლთან.
- ყველაზე დიდი პრობლემა, ავტო-პარკირების მოწყობა, პროექტირებისას პრორიტეტად უნდა იქნას მიჩნეული.
- საპროექტო სახლის და მომიჯნავე ძეგლის მდგრადობის შესანარჩუნებლად საჭიროა ჩატარდეს ყველა კვლევა რაც კი უზრუნველყოფს მინიმუმ სტატუსკვოს შენარჩუნებას.
- სამშენებლო ქვაბულის გათხრის დროს რქეოლოგიური ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მშენებლობა დაუყონებლივ შეჩერებული უნდა ქნას.

- წინამდებარე რეკომენდაციები შესასრულებლად სავალდებულო არ არის სასურველი კი, დამკვეთის და პროექტის ავტორის ურთიერთ შეთანხმებით და კვლევის შედეგები საკმარის წარმოდგენას იძლევა საიმისოდ რომ მოცემულ შემთხვევაში სწიორი ქალაქგეგმარებითი დავალება იქნას გაცემული, რაც სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის პრეროგატივაა.

ჯ. ბაბუნაშვილი



# გრაფიკული მასალა

1 საპროექტო ტერიტორია 1:2000 მ. ტოპო გადაღებაზე, დანართი №1

2 ისტორიულ კულტურული ძეგლების დისლოკაციის საყრდენი გეგმის ფრაგმენტი, დანართი № 2

3 საპროექტო ტერიტორია თბილისის და მისი ქვეყნის სქემაზე №3

4 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1844 წ. რუკაზე ,დანართი №4

5 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1867 წ. რუკაზე, დანართი №5

6 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1887.წ რუკაზე დანართი №6


7 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1913 წ. რუკაზე დანართი №7


8. საპროექტო ტერიტორია თბილისის 1924 წ. რუკაზე დანართი №8


9. საპროექტო ტერიტორია თბილისის 1934 წ. რუკაზე დანართი №9


ფ-1, - ფ-13, საპროექტო საკვლევი ტერიტორიის ფოტოები სხვადასხვა რაკურსებიდან.


ფ-14 – ფ-16 საპროექტო ტერიტორია XIX ს. ფოტო ფოტოებზე



1
ул. Давиташвили
ул. Лермонтова
ул. Сабанели
ул. Шмидтовская
ул. Окружная
ул. Шмидтовская
ул. Давиташвили
ул. Давиташвили
ул. Давиташвили



2
ბ. ჩიბაბაძის ქ.
ვ. ბერიძის ქ.
ე. ლეონიძის ქ.
ე. იაშვილის ქ.
ჩიქოვანის ქ.
დ. ტონაძის ქ.
ბ. ჩიბაბაძის ქ.
ბერგეთის ქ.
ბერგეთის შეს.
ბ.თინთიძის ქ.
ანთიანის ქ.
ე. იაშვილის ქ.
ბაბანელების ქ.
დ. ტონაძის ქ.
ბერგეთის ქ.
ს. ფეიქრიშვილის ქ.
ზეზვის ქ.
ჯანაშიის ქ.
ჯანაშიის შეს.



3



4
СОЛОЛАКИ
Каетанская застава
Эриванск заставa


5
Театръ
Солдаты


II УЧАСТ.
ГИМНАЗИЯ
ГУНИБСКАЯ ПЛОЩАДЬ
ПР.ЦЕРК. СВ.ГЕОРГІЯ
ТИФЛ. ПОЧТ. УПРАВЛ.
Т.ПУБЛ. БИБЛІОТ.
ЖЕН.ГИМН.
КАВКАЗ. МУЗЕЙ
ПР.Ц. С.ГЕОРГ.
ГРАФСКІЙ
ПРАВ.ЦЕРКОВЬ СВ.ДАВИДА
ДАВЫДОВСКАЯ ПЛОЩАДЬ
ДВОРЕЦ НАМѢСТН.
ДОМЪ ГЛАВНОКОМАНД. КАВК. ВОЕН. ОКРУГА
ЗАКАВКАЗСК. АЛЬБ. ИНСТ.
ЖЕНСК. УЧЕБН. ЗАВЕДЕНІЕ СВ. НИНЫ
КАР.САР. САРАДЖЕВА
КАР.САР. АРШРУНИ
КАР.САР. ЗУБАЛОВА
ЭРИВАНСК. ПЛОЩАДЬ
ШТАБЪ К.ВОЕН. ОКРУГА
КАР.САР. ТАМАШЕВА
ПОЖАРНОЕ ДЕПО
ГОРОДСК. УПРАВА И ДУМА
КАТОЛ. ЦЕРК. И КЛАДБИЩЕНСК.
V УЧАСТ.
СОЛОЛАКИ
ВОЗНЕСЕНСКАЯ
ПРАВ.ЦЕР. С.ВОЗНЕСЕНІЯ
ПОДЖОРСК. ПОДЪЕМЪ
КРАЙН. ПОДЪЕМЪ
ДАВЫДОВСКАЯ УЛИЦА
НАГОРНАЯ УЛИЦА
ЛАБОРАТОРНАЯ УЛИЦА
ЕРМОЛОВСКАЯ УЛИЦА
СОЛОЛАКСКАЯ УЛИЦА
НАГОРНАЯ 1. УЛ.
МУХРАНСКАЯ
ЭКЗАРШ. ПЛОЩ.
ГУБЕРН. ПЛОЩ.
ПОЛИЦЕЙСКАЯ УЛ.
ГЕОРГІЕВСКАЯ ПЛ.
АРМ.ГР. ЦЕРК. СВ.СТЕФАНА
СВ.БОГОРОД.
ПЕТЕРБУРГСКАЯ
6
БОТАНИЧЕСКІЙ САДЪ


III уч.
Католическое кладб.
СОЛДАТКИ
Ержант. трак.
Ораговская ул.
Кавжерская ул.
Кавжерский водяж.
Лорі йская ул.
Лорі йскій пер.
Луар сабовская ул.
Луар сабовскій пер.
Мадж тарскій пер.
Марі инская ул.
Александроп. туп.
Аматуньевская ул.
Аматуньевскій пер.
Андріанскій пер.
Арсенальная ул.
Арсенальное шоссе.


კათოლიკების სასაფ.
სკოლა
სკოლის ეზო
სკოლის ჩიხი
სკოლის ქ.
სკოლის ქ.
სკოლის ქ.


IX
9



f-2

11/07/2015 19:59


f-3
11/07/2015 19:59


4
11/07/2015 19:59


5
Born in to this
Walking and living
Dying because of this
Muted because of this
Die
11/07/2015 20:00


6
11/07/2015 20:02

კიბე ქუჩა

7

11/07/2015 20:04


8
500-00
ZXZ-418
11/07/2015 20:04




11/07/2015 20:06


11
11/07/2015 20:07

12


გერგეტის
ქუჩა

11/07/2015 20:07


13
11/07/2015 20:08

f-14


1360. Тиф. Малаховскій островъ, Ильинъ, Алекс. садъ, Дворецъ, Институтъ, Гимназія, Клубъ, Кр


f-15
№ 1556. Тифлисъ. Панорама на Мадатовскомъ островѣ, Александровскій садъ,
Театръ, Институтъ, Гимназія, Клубъ, новое зданіе Кружка и Св. Давидъ.


f-16